



თვითმმართველი ქალაქი ბათუმის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. ბათუმი

„ 20 “ ივნისი, 2007წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №36

„თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 5 მარტის №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 5 მარტის №13 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სამუშაო დროს დასაწყისი და დასასრული, შესვენების დრო

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც მოსამსახურე ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.

2. საჯარო სამსახურის განხორციელება საკრებულოს აპარატში ეფუძნება საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპს და განსაზღვრულია 5 დღიანი სამუშაო კვირით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს კვირაში.

3. სამუშაო დრო დღის განმავლობაში განისაზღვრება:

ა) გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში დილის 9.00 სთ-დან საღამოს 18.00 სთ-მდე პერიოდით.

ბ) ზამთრის პერიოდში დილის 9.30 სთ-დან საღამოს 18.00 სთ-მდე პერიოდით.

4. მოსამსახურისათვის სამუშაო დროის განმავლობაში განსაზღვრულია შესვენების დრო, რომელიც გრძელდება 13.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე.

5. მოსამსახურე, რომელიც სამსახურებრივ საქმეზე, თავისი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფება საკრებულოს აპარატის გარეთ, ითვლება სამსახურში მყოფად.”.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბადრი ქაჯაია